რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 217/თ

„01“ ივლისი, 2020 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოში ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმარლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვრა: 5 მოსამართლით სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, 4 მოსამართლით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და 2 მოსამართლით ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

ვინაიდან, რუსთავის საქალაქო სასამართლოში შენობაში 11 მოსამართლეზე გათვალისწინებულია 9 სხდომის დარბაზი, სასამართლო სხდომების ურთიერთდამთხვევის მინიმუმამდე დაყვანის და მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს რიგი ორგანიზაციული საკითხები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. როგორც წესი:

   ა) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები სასამართლო სხდომებს ატარებენ *მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 სხდომის დარბაზებში;*

   ბ) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები სასამართლო სხდომებს ატარებენ *მე-8, მე-9 და მე-5 სხდომის დარბაზებში;*

   გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები სასამართლო სხდომებს ატარებენ *პირველ და მე-2 სხდომის დარბაზებში.*

2. სხდომის დარბაზების არსებული გადანაწილება არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კოლეგიის მოსამართლეებთან ურთიერთშეთანხმებით, გამოყენებულ იქნა სხვა კოლეგიისთვის გათვალისწინებული სხდომის დარბაზი, ***გარდა იმ შემთხვევისა,*** თუ აღნიშნულით იქმენა საფრთხე ვერ განხორციელდეს მართლმსაჯულება იმ კოლეგიის წარმოებაში არსებულ საქმეზე, რომლის სხდომის დარბაზიც უნდა გამოიყენოს სხვა კოლეგიის მოსამართლემ;

3. ამ ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული დანაწესების განუხრელად შესრულების და მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლის *თანაშემწეებს და სხდომის მდივნებს დაევალოთ* სხდომების მენეჯმენტირებისა და მართვის ელექტრონული პროგრამის გამოყენება და მონაცემების უშეცდომოდ შეყვანა, როგორც სხდომის დარბაზში გადანიშნულ საქმეებზე, ასევე საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით სასამართლო სხდომის დანიშვნისას;

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლეებს და აპარატის თანამშრომლებს;

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ. N6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე